

„კლინიკური ონკოლოგია“

**1. სპეციალობის დასახელება - „კლინიკური ონკოლოგია“.**

**2. სპეციალობის შინაარსი:**

„კლინიკური ონკოლოგია“ არის მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოშობას და განვითარებას (ეტიოლოგიას და პათოგენეზს), შეიმუშავებს და სრულყოფს ავთვისებიანი სიმსივნეების პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდებს. მედიცინის სხვა დარგებთან ერთად იცავს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ემსახურება პაციენტთა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდასა და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას.

**3. ზოგადი ცოდნა:**

ა) ავთვისებიან სიმსივნეთა მოლეკულური ბიოლოგია, იმუნოლოგია, ეტიოლოგია და პათოგენეზი. კანცეროგენეზის თანამედროვე კონცეფცია. ავთვისებიან სიმსივნეთა კლასიფიკაცია;

ბ) ონკოეპიდემიოლოგია. დისკრიპტული და ანალიტიკური ონკოეპიდემიოლოგიის კვლევის მეთოდები. კიბოს რეგისტრი. ავთვისებიან სიმსივნეთა პრევენცია და სკრინინგი;

გ) ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის თეორიული საფუძვლები. დიაგნოსტიკის მეთოდები და თავისებურებანი: ვერიფიკაცია (ციტოლოგია, პათომორფოლოგია, იმუნოჰისტოქიმია), გამოსახულებითი დიაგნოსტიკა (X-Ray, Ultrasonography, CT, MRI, PET), ონკომარკერები. ავთვისებიან სიმსივნეთა კლინიკური კლასიფიკაცია და კლინიკური ჯგუფები;

დ) ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის მეთოდები და ავადმყოფთა მართვის თავისებურებანი. მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის პრინციპები (TNM სტადიის, ვერიფიკაციის, ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის, ასაკისა და ინდივიდუალური მიდგომის გათვალისწინებით);

ე) ონკოლოგიური ავადმყოფების ამბულატორიული მომსახურების პრინციპები;

ვ) ავთვისებიან სიმსივნეთა მედიკამენტური მკურნალობის (ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონთერაპია) პრინციპები, ჩვენებები, უკუჩვენებები, გართულებები, მათი პრევენცია და მკურნალობა;

ზ) ავთვისებიანი სიმსივნეების სხივური თერაპიის პრინციპები და მეთოდები. სხივური თერაპიის გართულებები;

თ) ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების (ხოჯკინის დაავადება და ავთვისებიანი ლიმფომა) ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

ი) იმუნო და მიელოპროლიფერაციული დაავადებების, მწვავე და ქრონიკული ლეიკემიის ეპიდემიოლოგია, კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

კ) ფილტვის, პლევრის, შუასაყრის და გულმკერდის კედლის ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

ლ) თავისა და კისრის ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ცნს-ის სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

მ) სარძევე ჯირკვლის კიბოს ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

ნ) საჭმლის მომნელებელ ორგანოთა და რეტროპერიტონული სივრცის ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

ო) გინეკოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

პ) თირკმელების, შარდის ბუშტის, სათესლე ჯირკვლის და სასქესო ასოს ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

ჟ) კანის, ძვლების და რბილი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეების და მელანომის ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

რ) ბავშვთა ძირითადი ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე პრინციპები;

ს) ონკონკურსებელი ავადყოფნის მოვლა-პატრონობა და სიმპტომური მკურნალობა (პალატიური მწრფელება).

#### 4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
C00 - C97*	ავთვისებიანი სიმსივნეები	დიაგნოსტიკა; მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა; მკურნალობის ალგორითმის მენეჯმენტი; მედიკამენტური მკურნალობა; მკურნალობასთან ასოცირებული გვერდითი მოვლენებისა და ზოგადი მდგომარეობის მართვა; პაციენტის მონიტორინგი.
D00 – D48.9 *	In situ, კეთილთვისებიანი, გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნეები	დიაგნოსტიკა; მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა; მკურნალობის ალგორითმის მენეჯმენტი; მონიტორინგი.
O01	ბუშტუნამქერი	დიაგნოსტიკა; მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა; მკურნალობის ალგორითმის მენეჯმენტი; თერაპიული მკურნალობა; მკურნალობასთან ასოცირებული გვერდითი მოვლენების მართვა; მონიტორინგი.

## 5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) კლინიკურ-ონკოლოგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) რენტგენოგრაფია;

ა.ბ) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია;

ა.გ) კომპიუტერული ტომოგრაფია;

ა.დ) PET/CT;

ა.ე) ულტრასონოგრაფია;

ა.ვ) სცინტიგრაფია;

ა.ზ) კლინიკური ანალიზები;

ა.თ) ბიოქიმიური ანალიზები;

ა.ი) კოაგულოგრამა;

ა.კ) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა;

ა.ლ) იმუნოლოგიური გამოკვლევა;

ა.მ) ონკომარკერები, სეროლოგიური კვლევები;

ა.ნ) მორფოლოგიური გამოკვლევა (ციტომორფოლოგია, ჰისტომორფოლოგია, იმუნოჰისტოქიმია);

ა.ო) დენსიტომეტრია;

ა.პ) გენეტიკური კვლევები.

ბ) ექიმ-ონკოლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

ბ.ა) ქიმიოთერაპია (ნეოადიუვანტური მონოქიმიოთერაპია, ადიუვანტური მონოქიმიოთერაპია, ნეოადიუვანტური პოლიქიმიოთერაპია, ადიუვანტური პოლიქიმიოთერაპია, ლოკალური რეციდივის მონოქიმიოთერაპია, ლოკალური რეციდივის პოლიქიმიოთერაპია, მეტასტაზური სიმსივნის მონოქიმიოთერაპია, მეტასტაზური სიმსივნის პოლიქიმიოთერაპია, პალიატიური ქიმიოთერაპია, ნეოადიუვანტური არასტანდარტული მონოქიმიოთერაპია, ადიუვანტური არასტანდარტული მონოქიმიოთერაპია, ნეოადიუვანტური არასტანდარტული პოლიქიმიოთერაპია, ადიუვანტური არასტანდარტული პოლიქიმიოთერაპია, ლოკალური რეციდივის არასტანდარტული მონოქიმიოთერაპია, ლოკალური რეციდივის არასტანდარტული პოლიქიმიოთერაპია, მეტასტაზური სიმსივნის არასტანდარტული მონოქიმიოთერაპია, მეტასტაზური სიმსივნის არასტანდარტული პოლიქიმიოთერაპია, პალიატიური არასტანდარტული ქიმიოთერაპია);

ბ.ბ) ჰორმონთერაპია (ნეოადიუვანტური მონოჰორმონთერაპია, ადიუვანტური მონოჰორმონთერაპია, ნეოადიუვანტური პოლიჰორმონთერაპია, ადიუვანტური პოლიჰორმონთერაპია, რეციდივის მონოჰორმონთერაპია, რეციდივის პოლიჰორმონთერაპია, მეტასტაზური სიმსივნის ჰორმონთერაპია, მეტასტაზური სიმსივნის პოლიჰორმონთერაპია, პროფილაქტიკური ჰორმონთერაპია);

ბ.გ) იმუნოთერაპია;

ბ.დ) ტარგეტული თერაპია;

ბ.ე) რეგიონული ქიმიოთერაპიის მართვა;

ბ.ვ) მკურნალობით გამოწვეული გვერდითი მოვლენების მართვა;

- ბ.ზ) ძირითადი შინაგანი პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა;
- ბ.თ) ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;
- ბ.ი) ჰემოტრანსფუზია;
- ბ.კ) კრიოტრანსფუზია;
- ბ.ლ) ღრუ ორგანოდან, ვიზუალური ლოკალიზაციის სიმსივნეები და ზედაპირული ლიმფური კვანძიდან მასალის აღება ციტოლოგიური კვლევისთვის;
- ბ.მ) ჭრილობის პირველადი და მეორადი ქირურგიული დამუშავება.

## 6. გარდამავალი ეტაპის რეგულირება:

ა) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, განახორციელოს საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში;

ბ) ექიმებს, რომელთაც:

ბ.ა) 2007 წლის 18 აპრილამდე მინიჭებული ჰქონდათ ან 2007 წლის 18 აპრილის შემდეგ, „ონკოლოგიის“ ოთხწლიანი სარეზიდენტო პროგრამის დასრულების საფუძველზე, მიენიჭათ სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობაში „ონკოლოგია“, დარგობრივი პროფესიული ორგანიზაცი(ებ)ის რეკომენდაციისა და სათანადო პროფესიული აქტივობის შესაბამისად, უფლება აქვთ, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე, არსებული („ონკოლოგიის“) სახელმწიფო სერტიფიკატის ნაცვლად, მოიპოვონ სახელმწიფო სერტიფიკატი შესაბამის საექიმო სპეციალობაში - „რადიაციული თერაპია“, „ზოგადი ქირურგია“, „მეანობა-გინეკოლოგია“, „უროლოგია“, „ბავშვთა ქირურგია“, „კლინიკური ონკოლოგია“ (ხსენებული ვრცელდება მხოლოდ იმ ექიმებზე, რომელთაც ამ ბრძანების ამოქმედებისათვის აქვთ არანაკლებ 5 წლის სამუშაო სტაჟი შესაბამის სპეციალობაში). ამასთან, სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების შემდგომ მათ მიენიჭებათ სათანადო სუბსპეციალობის მოწმობა („ქირურგიული ონკოლოგია“, „ონკოგინეკოლოგია“, „ონკოუროლოგია“); (11.04.2016 N01-15/ნ)

ბ.ბ) 2007 წლის 18 აპრილის შემდეგ მიენიჭათ სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობებში „ონკოლოგია“, „ქიმიოთერაპია“, შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის რეკომენდაციის საფუძველზე უფლება აქვთ, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე, არსებული („ონკოლოგია“, „ქიმიოთერაპია“) სახელმწიფო სერტიფიკატის ნაცვლად, მოიპოვონ სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში - „კლინიკური ონკოლოგია“;

ბ.გ) 2007 წლის 18 აპრილის შემდეგ მიენიჭათ სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობაში „ონკოქირურგია“, უფლება აქვთ, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე, არსებული („ონკოქირურგია“) სახელმწიფო სერტიფიკატის ნაცვლად, მოიპოვონ სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში - „ზოგადი ქირურგია“/ „ბავშვთა ქირურგია“ და სათანადო სუბსპეციალობის მოწმობა. სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების აუცილებელ პირობას წარმოადგენს:

ბ.გ.ა) არანაკლებ 5 წლის სამუშაო სტაჟი ონკოქირურგიის შესაბამის სპეციალობაში და დარგობრივი პროფესიული ორგანიზაცი(ებ)ის რეკომენდაცია;

ბ.გ.ბ) 5 წლის სამუშაო სტაჟის არარსებობის შემთხვევაში - სპეციალიზაციის კურსის გავლა, რომლის შინაარსი და ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი საექიმო სპეციალობის დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების)/სარეზიდენტო პროგრამის საფუძველზე.